ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNOPS

# მოემზადე საგანგებო სიტუაციებისთვის

## მაშველ ტინტოსთან ერთად



# წერილი უფროსებს

ძვირფასო მშობლებო, მასწავლებლებო, უფროსებო,

ამ წიგნში მაშველი ძაღლი ტინტო ეხმარება ბავშვებს და უფროსებს ისწავლონ, როგორ მოემზადონ და დაიცვან საკუთარი უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციების დროს.

პუბლიკაციის გაცნობისას, ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ან მეგობრებთან, ზრდასრულებთან და კლასელებთან ერთად გააკეთონ სავარჯიშოები, ითამაშონ და მოემზადონ საგანგებო სიტუაციებისთვის ტინტოს დახმარებით.

ბავშვები გაეცნობიან იმ წესებსა და მიდგომებს, რომლებიც დაეხმარება მათ სწორად ამოიცნონ სხვადასხვა საგანგებო სიტუაცია და იმოქმედონ შესაბამისად.

ევროკავშირი საქართველოსთვის

UNOPS

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, რომელსაც გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი (UNOPS) ახორციელებს. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს შეხედულებას.

# სარჩევი


შესავალი ---------------------------------------------------------- 1
მიწისძვრა -------------------------------------------------------- 2
წყალდიდობა ------------------------------------------------------ 6
ტყის და მინდვრის ხანძრები ----------------------------------- 14
საყოფაცხოვრებო და ურბანული ხანძრები ---------------- 20
ძლიერი ქარი და ქარბორბალა------------------------------- 25
შენი მზადყოფნისთვის ------------------------------------------ 27
პასუხები ---------------------------------------------------------- 33
სერტიფიკატი ---------------------------------------------------- 36




## გამარჯობა! მე ტინტო ვარ, მაშველი ძაღლი.

საგანგებო სიტუაციებზე მინდა მოგიყვე.

საგანგებო სიტუაციებია: მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარი ან ქარბორბალა, ხანძარი და სხვა.

ასეთ დროს შეიძლება სახიფათო მდგომარეობა შეიქმნას. ამ წიგნით შევეცდები, გასწავლო თუ როგორ უნდა მოიქცე საგანგებო სიტუაციების დროს, მაგალითად: არ დაიბნე, დარეკე 112-ზე, მეხანძრე-მაშველები მოვლენ და დაგეხმარებიან.

ისინი თავდაუზოგავად ცდილობენ ხალხის გადარჩენას. მეც ვეხმარები ხოლმე მათ.





# მიწისძვრა

ჩემო მეგობარო,

მე გიამბობ იმაზე, თუ რა არის მიწისძვრა და როგორ უნდა მოიქცე მიწისძვრამდე, მიწისძვრის დროს და მის შემდეგ.

მიწისძვრის დროს, თუ ქუჩაში ხარ, მოულოდნელად იგრძნობ მიწის ზედაპირის სწრაფ მოძრაობას, შენობაში კი — მის რყევას.

ამას ბიძგებს უწოდებენ. ბიძგები შეიძლება გამეორდეს. როგორც წესი, ყველაზე ძლიერი პირველი ბიძგია, შემდეგ კი — უფრო და უფრო სუსტი.



## რა შეგიძლია გააკეთო მიწისძვრამდე.

მოავლე თვალი კედელზე ჩამოკიდებულ ნივთებს და ოთახში არსებულ ავეჯს. მიწისძვრის დროს ეს ნივთები შეიძლება ჩამოვარდეს ან გადაყირავდეს და ადამიანი დააზიანოს. ამიტომ, სთხოვე უფროსებს შეამოწმონ, მყარადაა ისინი დამაგრებული კედელზე თუ არა.

**1.** სურათზე მონიშნე რომელ ნივთებს უნდა გადამოწმება?



მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

მინები მიწისძვრის დროს საშიშია. ისინი ადვილად იმტვრევა და შეიძლება დააზიანოს ადამიანი. ამიტომ შეახსენე უფროსებს, რომ საწოლი არ უნდა იდგეს ფანჯრებთან ან სხვა დიდ მინებთან ახლოს. შეგიძლია შემდეგი სურათი-გამოცანა აჩვენო მათ.

## 2. მონიშნე სწორი განლაგება.



მოძებნე სწორი პასუხი 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.

ჰკითხე უფროსებს, რომელია კაპიტალური კედელი და ნახე, სად არის მასში კარის ღიობი.

## რა უნდა გააკეთო მიწისძვრის დროს?

არ შეშინდე! თუ მიწისძვრის დროს შენობაში იმყოფები, შეეფარე კაპიტალური კედლის ღიობს, მაგიდას, საწოლს, იმისათვის, რომ თავზე არაფერი დაგეცეს და მოეჭიდე რაიმე მყარს.

## 3. ამოიცანი რას უნდა მოერიდო თუ ხარ შენობაში. დაალაგე ასოები ისე, რომ სიტყვები მიიღო.

ლ,ფ,ი,ტ,ი

ბ,ე,კ,ი

მ,ა,ი,ნ

ა,ვ,ი,ა,ი,ნ

ჟ,ი,ღ,ა

მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

## 4. გააფერადე ის ადგილები, სადაც შეიძლება შეეფარო.



მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

**თუ მიწისძვრის დროს ქუჩაში ხარ:**
**იპოვე ღია ადგილი, სადაც ცოტა შენობა, ხე და ელექტროსადენია.**

## 5. რომელმა მოძებნა სწორი ადგილი მიწისძვრის დროს?




ჩაწერე მისი სახელი თავისუფალ უჯრებში ისე, რომ სიტყვა გამოვიდეს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დ | ა | მ | ი | წ | |

მოძებნე სწორი პასუხი 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.

**თუ მიწისძვრის დროს მანქანაში ხარ, შეიკარი ღვედი და არ გადმოხვიდე მანქანიდან.**

## 6. როგორ უნდა მოიქცე მიწისძვრის შემდეგ?

**მონიშნე სწორი პასუხები:**

- ა შეხვიდე დაზიანებულ შენობაში;
- ბ ისუნთქო ღრმად და მშვიდად;
- გ დალიო სუფთა წყალი;
- დ დალიო ონკანის წყალი;
- ე თუ ვინმე არის ცუდად, ეცადე დაეხმარო. ხმამაღლა დაუძახე ვინმეს დასახმარებლად;
- ვ თუ შენობაში ხარ, გადაადგილდი ფრთხილად, რადგან შეიძლება მიწისძვრის შემდეგ ავეჯის, ჭაღის ან სხვა საგნის ნაწილი ჩამოვარდეს.

მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.



# წყალდიდობა

**ჩემო მეგობარო, დაფიქრებულხარ იმაზე თუ რა სიტყვებისგან შედგება სიტყვა „წყალდიდობა“? დიახ, „წყალი“ და „დიდი“, ანუ „დიდი წყალი“.**

წყალდიდობა შეიძლება მოხდეს ხანგრძლივი ან ძლიერი წვიმის შემდეგ ან თოვლის სწრაფი დნობის შედეგად. წყალდიდობის დროს მდინარე დიდდება და გადმოდის კალაპოტიდან.

მის გარშემო არსებული მშრალი ადგილებიც წყლით იტბორება. ძლიერი წვიმის დროს შესაძლებელია ადიდდეს და გადმოვიდეს საქართველოში არსებული თითქმის ყველა მდინარე.



## რა უნდა იცოდე წყალდიდობამდე:





**თუ იქ, სადაც ცხოვრობ ხშირად არის წყალდიდობა, დაიმახსოვრე ის ადგილები, რომლებიც წყლით ხშირად იფარება.**

**1.** გაიხსენე, იფარება თუ არა წყლით შემდეგი ადგილები და მიაწერე „დიახ“ ან „არა“:

ა) მდინარის/ზღვის სანაპირო ........................

ბ) ხიდი ........................

გ) ქუჩა, რომელზეც ცხოვრობ ........................

დ) სხვა ........................

**2.** ჰკითხე მშობელს ან ოჯახის უფროს წევრს და დაიმახსოვრე ის ადგილი, სადაც წყალდიდობის დროს შეიძლება შესვლა და დალოდება. ჩაწერე ის ადგილები, რომლებიც უფროსებმა დაგისახელეს:

ა) ........................................................

ბ) ........................................................

გ) ........................................................

**ნუ დააბინძურებ არხებს, რომლებიც წყალს ატარებს! დაბინძურებული არხები კარგად აღარ მუშაობს.**

## 3. მიუთითე, სად უნდა გადაყაროს ნაგავი ბექამ.




მოძებნე სწორი პასუხი 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.

### რა უნდა იცოდე წყალდიდობის დროს თუ შენობაში იმყოფები:

**მოუსმინე მშობელს ან უფროსს და მიჰყევი მის მითითებებს. მშობლის ან უფროსის მითითების გარეშე არ გახვიდე გარეთ.**



## 4. ჩასვი ფრჩხილებში მოცემული სიტყვები წერტილების ნაცვლად სათანადო ადგილზე

**(ადგილზე, ზედა, კარ-ფანჯრებთან, მაშველები):**

თუ წყალდიდობის დროს შენობაში ხარ, ეცადე ახვიდე .......................... სართულზე ან შენობის შემაღლებულ .................... . არ მიხვიდე ახლოს .......................... . როდესაც .................... მოვლენ, იყავი ყურადღებით და მიჰყევი მათ მითითებებს.

მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

## 5. რა უნდა გააკეთო, თუ წყალდიდობის დროს ქუჩაში ხარ:

გაშიფრე წინადადება და გაიგე პირველი წესი. თუ გაგიჭირდა, სთხოვე დახმარება ოჯახის წევრს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ----- | ----- | | | | | |
| 1 | 17 | | | | | |
| ----- | ----- | ----- | ----- | ----- | ----- | ----- |
| 12 | 9 | 31 | 6 | 9 | 4 | 5 |
| ----- | ----- | ----- | ----- | ----- | ----- | ----- |
| 29 | 24 | 1 | 11 | 8 | 1 | 13 |
| ----- | ----- | ----- | ----- | ----- | | |
| 1 | 31 | 11 | 14 | 18 | | |

1-ა, 2-ბ, 3-გ, 4-დ, 5-ე, 6-ვ, 7-ზ, 8-თ, 9-ი, 10-კ, 11-ლ, 12-მ, 13-ნ, 14-ო, 15-პ, 16-ჟ, 17-რ, 18-ს, 19-ტ, 20-უ, 21-ფ, 22-ქ, 23-ღ, 24-ყ, 25-შ, 26-ჩ, 27-ც, 28- ძ, 29-წ, 30-ჭ, 31-ხ, 32-ჯ, 33-ჰ

მოძებნე სწორი პასუხი 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.



**6.** გაეცანი სალომეს და თორნიკეს დიალოგს. რომელი მათგანი ფიქრობს სწორად?




მოძებნე სწორი პასუხი 33-ე გვერდზე და დაიმახსოვრე.

## რა უნდა იცოდე, თუ წყალდიდობის დროს ავტომობილში ხარ.

**7.** ქვემოთ წერია რჩევები მძღოლისთვის. ზოგიერთი მათგანი არასწორია. აირჩიე სწორი რჩევები:

ა) ახლოს მიდი დატბორილ ადგილთან და ნახე რა ხდება;

ბ) არ მიუახლოვდე წყლის შემაკავებელ ბარიერებს;

გ) არ მიუახლოვდე დატბორილ ადგილს;

დ) იპოვე შემაღლებული ადგილი;

მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და დაიმახსოვრე.

**8.** როგორ ფიქრობ, სწორია თუ არა შემდეგი წინადადება:

„თუ მანქანა იძირება წყალში, გააღე ფანჯარა და ამოძვერი მანქანიდან“

ა) სწორია ბ) არასწორია

მოძებნე სწორი პასუხი 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.



## თუ წყალდიდობის დროს წყალში აღმოჩნდი:



მშობელს ან უფროსს ხმამაღლა დაუძახე და ითხოვე დახმარება.



მიიქციე ყურადღება და ითხოვე დახმარება.



ეცადე გაცურო.



მოჰკიდე ხელი ისეთ საგანს, რომელიც არ იძირება და ტივტივებს წყალზე.



გაიხადე მძიმე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ან სთხოვე უფროსს დაგეხმაროს გახდაში.



იყავი ყურადღებით, რომ არ მოგხვდეს წყალში არსებული მცურავი საგნები.

## წყალდიდობის შემდეგ:



**9.** ისრებით დააკავშირე მარცხენა სვეტში ჩაწერილი წინადადებების პირველი ნაწილი, მარჯვენა სვეტში ჩაწერილ მეორე ნაწილთან.

| წინადადების პირველი ნაწილი | წინადადების მეორე ნაწილი |
|---|---|
| 1 დაელოდე სანამ წყალი არ დაიწევს, ან არ გეტყვიან, | ა ელექტროხელსაწყოებს (ტელევიზორი, სამზარეულოში დენში შეერთებული რაიმე ნივთი). |
| 2 სთხოვე მშობელს ან უფროსს ან თავად დალიე | ბ ტალახი და მიწაა, ასევე სადაც წყალმა მოიტანა სხვადასხვა ნივთი. |
| 3 არ მოკიდო ხელი | გ რომ შეიძლება წასვლა. |
| 4 შეახსენე მშობელს ან უფროსს გაანიავოს | დ ბოთლში ჩამოსხმული სუფთა წყალი. |
| 5 მოერიდე იმ ადგილს, სადაც წყალდიდობის შედეგად ბევრი | ე შენობა (თუ მარტო ხარ, თვითონ გამოაღე ფანჯრები და კარი). |
| 6 გახსოვდეს, რომ წყალდიდობის შემდეგ თუ აღელვებული და | ვ თუ როგორ გრძნობ თავს, რა გინდა ან გჭირდება. |
| 7 ეცადე, ისუნთქო ღრმად და მშვიდად და შეატყობინე მშობლებს ან სხვა უფროსს, | ზ განერვიულებული ხარ, ეს ბუნებრივია. |

მოძებნე სწორი პასუხები 33-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

# ტყის და მინდვრის ხანძრები

## მეგობარო, ალბათ იცი რა არის ხანძარი.

ხანძარი არის ცეცხლი, რომელიც წვავს გარშემო ყველაფერს და აზიანებს ბუნებას, ადამიანებს და ნივთებს.

ხანძარი შეიძლება გაჩნდეს ბუნებრივი მიზეზებით, როგორიც არის ძლიერი სიცხე, ელექტროსადენის დაზიანება ან გაჩნდეს ადამიანის მიერ. მაგალითად, თუ ბუნებაში ადამიანი გადააგდებს ანთებულ ასანთს, ან აანთებს და არ ჩააქრობს კოცონს.

ხანძარი ძალიან სწრაფად ვრცელდება და გადადის ხიდან ხეზე, შენობიდან შენობაზე და ა.შ.

იცი თუ არა, რომ ტყის ხანძრების დროს ცეცხლი, შესაძლოა, ახლო მდებარე სახლებსაც მოედოს?



**თუ ცხოვრობ ტყესთან ახლოს და გინდა გაიგო როგორ მოიქცე, რომ ხანძრისგან თავი დაიცვა, განაგრძე კითხვა:**

შეახსენე მშობელს ან ოჯახის უფროს წევრს, მოთიბოს ბალახი და გაიტანოს გამხმარი მცენარეები (ბალახი, ფოთლები, ხის ტოტები).

შეახსენე მშობელს, ოჯახის უფროს წევრს, რომ საწვავი და ისეთი ნივთები, რასაც ცეცხლი ადვილად ეკიდება, მოათავსოს სახლისგან შორს, მშრალ ადგილას.

სთხოვე მშობელს ან ოჯახის უფროს წევრს ან მასწავლებელს აგიხსნას ხანძრის შემთხვევაში არსებული შენობის საევაკუაციო გეგმა (გეგმა, რომლის მიხედვითაც გადიან შენობიდან სხვადასხვა სიტუაციის დროს).

შეახსენე მშობელს ან ოჯახის უფროს წევრს, რომ ჰქონდეს ცეცხლმაქრი და სთხოვე გასწავლოს მისი გამოყენება.

დაიმახსოვრე, ცეცხლმაქრი არ არის სათამაშო და ნუ ითამაშებ!

შეახსენე მშობელს ან უფროსს საცხოვრებელ ტერიტორიაზე იქონიოს წყლის რეზერვუარი.

**1.** მოცემულ ნახატზე შემოხაზე ის ნივთები, ადგილები ან ადამიანები, რომელთა მდებარეობა არ შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ წესებს.




მოძებნე სწორი პასუხი 34-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.

## თუ ხანძარი ტყიდან თქვენი სახლისკენ მოდის ან უკვე სახლთან ახლოს არის:

- ისუნთქე ღრმად და შეინარჩუნე სიმშვიდე;
- როგორც კი გაიგებ ხანძრის შესახებ, დარეკე 112-ზე;
- შეატყობინე მშობელს ან უფროსს. შეიძლება შენ პირველი ხარ, ვინც ხანძარი შენიშნა. გააგებინე სხვებსაც;
- გადი შენობიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასვლის დროს ხანძარი არ იქნება შენთან ახლოს და თუ გარეთ გასასვლელი გზა უსაფრთხოა;
- დაელოდე, როდის მოვლენ მაშველები და დაგეხმარებიან.

**2.** ქეთიმ და ეკამ ტყიდან წამოსული ხანძრის კვამლის სუნი იგრძნეს, თუმცა ცეცხლი ჯერ მათ სახლთან ახლოს არ იყო. ორივემ საკუთარი გეგმა დასახა. რომლის დასახული გეგმა იყო სწორი?

1. ჩავკეტოთ კარები;
2. დავრეკოთ 112-ზე;
3. დავიმალოთ ზედა სართულზე;
4. დაველოდოთ მაშველებს.

1. დავმშვიდდეთ და ღრმად ვისუნთქოთ;
2. შევატყობინოთ მშობლებს;
3. დავრეკოთ 112-ზე;
4. გავიდეთ გარეთ, უსაფრთხო მხარეს;
5. დაველოდოთ მაშველებს.




მოძებნე სწორი პასუხი 34-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხს.

## 3. იმისათვის, რომ გაიგო რა უნდა გააკეთო სახლში დარჩენის შემთხვევაში, გაშიფრე სიტყვები და ჩასვი ცარიელ ადგილზე.



ა) დახურე ------ და ფანჯრები.

--- --- --- ---
10 1 17 9

ბ) სველი ნაჭრით ამოქოლე ყველა ---------------, საიდანაც შეიძლება კვამლი ან ცეცხლი შემოვიდეს.

--- --- --- --- --- --- ---
13 1 15 17 1 11 9

გ) ფანჯრებიდან ჩამოხსენი -------------------.

--- --- --- --- --- --- ---
21 1 17 4 5 2 9

დ) ავეჯი (სკამები, სავარძელი, მაგიდა) მოათავსე ოთახის -----------------.

--- --- --- --- --- --- ---
27 5 13 19 17 25 9

ე) დადექი ფანჯრებიდან შორს, მოიმარაგე ---------.

--- --- --- --- ---
29 24 1 11 9

ვ) დაელოდე ----------- და სახანძრო ბრიგადას.

--- --- --- --- --- --- --- --- ---
12 1 25 6 5 11 5 2 18

ზ) ევაკუაციის (სახლიდან გასვლის) --------------- შეასრულე მეხანძრე-მაშველების მითითებები.

--- --- --- ---
4 17 14 18

1-ა, 2-ბ, 3-გ, 4-დ, 5-ე, 6-ვ, 7-ზ, 8-თ, 9-ი, 10-კ, 11-ლ, 12-მ, 13-ნ, 14-ო, 15-პ, 16-ჟ, 17-რ, 18-ს, 19-ტ, 20-უ, 21-ფ, 22-ქ, 23-ღ, 24-ყ, 25-შ, 26-ჩ, 27-ც, 28- ძ, 29-წ, 30-ჭ, 31-ხ, 32-ჯ, 33-ჰ

მოძებნე სწორი პასუხები 34-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

## 4. რეკომენდაციები ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად:

**წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები და შემოხაზე ისინი, რომლებიც არასწორად მიგაჩნია.**

ა) ნუ დაწვავ ნაგავს, მცენარეებს ან სხვა მასალებს ტყის ან ველის სიახლოვეს;

ბ) ნუ გადააგდებ ანთებულ სიგარეტს ტყის სიახლოვეს;

გ) სახლის ეზოდან გატანილი ხმელი ფოთლები შეიძლება ტყის პირას დაწვა;

დ) ნუ დაანთებ ცეცხლს ტყის სიახლოვეს – გამხმარი მცენარეებით მოფენილ ნიადაგზე;

ე) სახლიდან გატანილი ნაგავი შეიძლება ტყეში დაყარო;

ვ) თვითაალების საშიშროებიდან გამომდინარე, მოერიდე ტყეში ან მის სიახლოვეს ნაგვის დაყრას;

ზ) შეახსენე მშობელს ან სხვა ზრდასრულს, დააკვირდეს ტყესთან ახლოს არსებულ სხვადასხვა ამკრძალავ ნიშანს.

მოძებნე სწორი პასუხები 34-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

### მინდვრის ხანძრების დროს

სექტემბერში მარცვლეულის მოსავლის აღების პროცესი აქტიურდება. ამას თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ტერიტორიის გასუფთავების მიზნით, ხელოვნურად გაჩენილი ხანძრები. ასეთი ხანძრები უკონტროლოდ ვრცელდება.

გამოიჩინე მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთო ცეცხლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს, ასევე, არ დატოვო ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

## გახსოვდეს, კოცონის გაჩაღებას თავისი წესები აქვს.

**5.** დააკვირდი ორივე სურათს. იპოვე სამი განსხვავება.

მარჯვენა სურათზე გამოსახულია წესების მიხედვით დანთებული კოცონი. გაითვალისწინე განსხვავებები და ჩამოაყალიბე კოცონის დანთების წესები.







შენ მიერ ჩამოწერილი წესები შეადარე პასუხებში მოცემულ წესებს 34-ე გვერდზე. გარდა ამისა, გაითვალისწინე, რომ კოცონს მუდმივად უნდა ადევნო თვალი. ანთებულ კოცონზე არ შეიძლება ნავთობპროდუქტების დასხმა. წასვლის წინ აუცილებლად ჩააქრე კოცონი, დაასხი წყალი და დააყარე მიწა.

# საყოფაცხოვრებო და ურბანული ხანძრები



## 1. იმისათვის, რომ გაიგო როგორ უნდა მოიქცე, მოძებნე წინადადებების სწორი გაგრძელება და ჩაწერე ცხრილში.

| | |
|---|---|
| ისუნთქე და სცადე | |
| თუ შეგიძლია ოთახიდან უსაფრთხოდ გასვლა, | |
| თუ შენთან ახლოს არის უფროსი ადამიანი, მასთან ერთად | |
| თუ მშობელი ან უფროსი ადამიანი არ არის ახლოს, დარწმუნდი, რომ გზა, რომლითაც გარეთ გასვლას აპირებ, | |
| თუ ოთახიდან ვერ გადიხარ, ყველა კარი დახურე მჭიდროდ. | |
| პირთან და ცხვირთან მიიდე სველი ქსოვილი და | |
| ოთახის კარის გარშემო ნაპრალებს მიადე სველი ნაჭერი და ამოქოლე ისე, | |
| მიდი ფანჯარასთან ახლოს და დაიყვირე ან ფანჯარაზე დააკაკუნე, რომ დაგინახონ და მოგაქციონ ყურადღება. მნიშვნელოვანია, | |
| დარეკე | |

ა) უსაფრთხოა და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვე შენობა.
ბ) იყო მშვიდად!
გ) ისე განაგრძე სუნთქვა.
დ) დატოვე შენობა ყველაზე ახლოს მდებარე გასასვლელით.
ე) ასე ხანძრის შეჩერება შეიძლება 10-15 წუთით.
ვ) არ გააღო ფანჯარა! დაკაკუნების დროს არ გატეხო მინა!
ზ) 112-ზე.
თ) რომ კვამლი ოთახში ვეღარ შემოვიდეს.
ი) გადი ოთახიდან.

მოძებნე სწორი პასუხები 34-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

## 2. იმისათვის, რომ გაიგო როგორ უნდა მოიქცე იმ შემთხვევაში თუ ოთახში დაგროვდა კვამლი, ქვემოთ მოცემული საგნების აღმნიშვნელი სიტყვები ჩასვი წინადადებებში შესაბამის ადგილზე.






- პირთან და ...... მიიდე სველი ნაჭერი და ისე განაგრძე სუნთქვა.
- დაწექი ......... .
- იატაკზე დაწოლილი მოძრაობით ან მუხლებზე დამდგარი მიდი ........................ ახლოს. შემდეგ ადექი, დაიყვირე ან ფანჯარაზე დააკაკუნე, რომ დაგინახონ და მოგაქციონ ყურადღება.
- მნიშვნელოვანია, არ გააღო ფანჯარა! დაკაკუნების დროს არ ჩატეხო მინა!
- შესაძლებლობის შემთხვევაში, ..................... გადი იატაკზე დაწოლილი მოძრაობით ან მუხლებზე დამდგარი ხოხვით.
- არ წახვიდე იმ მიმართულებით, სადაც .............. ისე ახლოს არის, რომ ვერ ხედავ 10 ნაბიჯის მანძილზე ან მძაფრად გრძნობ ნამწვის სუნს.
- იმ ოთახიდან გამოსვლის დროს, სადაც კვამლია, კარი დახურე მაგრად, რომ ........ ვერ შეძლოს გავრცელება (სხვა ოთახებში გადასვლა).

მოძებნე სწორი პასუხები 34-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

3.

**იმისათვის, რომ გაიგო როგორ უნდა მოიქცე თუ ცეცხლი მოედო შენს ტანსაცმელს, წაიკითხე შემდეგი წინადადებები.**

**დაფიქრდი, სწორია ისინი თუ არა და შემოხაზე პასუხი. შემდეგ შეადარე სწორ პასუხებს.**




ა) არ გაიქცე! ან არ გადაადგილდე სწრაფად! სირბილის დროს ტანსაცმელს ცეცხლი კიდევ უფრო მეტად მოეკიდება.

სწორია | არასწორია

ბ) არ ეცადო ცეცხლმოდებული ტანსაცმელი სწრაფად გაიხადო.

სწორია | არასწორია

გ) დაწექი იატაკზე და გადაბრუნდი ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს სწრაფად, რომ ასე ჩააქრო ცეცხლი.

სწორია | არასწორია

დ) გადაისხი წყალი თავზე და მთელ სხეულზე, ან ჩაწექი წყლით სავსე ჭურჭელში.

სწორია | არასწორია

მოძებნე სწორი პასუხები 35-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

## 4. წაიკითხე და გაიაზრე რეკომენდაციები. მონიშნე შენთვის აქამდე უცნობი რეკომენდაცია.

**რის გაკეთება არ შეიძლება ხანძრის დროს:**

- არ შეგეშინდეს და არ ინერვიულო!
- არ ჩააქრო ელექტრომოწყობილობები წყლით!
- არ სცადო იმ კიბეებით გარეთ გასვლა, სადაც ძლიერი კვამლია!
- არ გამოიყენო ლიფტი!
- არ გააღო ფანჯრები და კარი!
- არ გადმოხტე მაღალი სართულიდან!
- თუ ცხოვრობ მესამე სართულზე ან უფრო მაღლა, არ სცადო დაბლა ჩამოსვლა ბაწრით, ზეწრით, წყალსადინარი მილით!
- კიბეებზე გადაადგილებისას არ დაიკავო კიბის მოაჯირის მხარე!
- არ დაიმალო კარადაში, საკუჭნაოში, კუთხეში და ა.შ!
- არ სცადო ხანძრის ჩაქრობა დამოუკიდებლად, დაელოდე სახანძრო-სამაშველო დანაყოფს!



# ძლიერი ქარი და ქარბორბალა



შენ თვითონ შეგიძლია შეადგინო ძლიერი ქარის ან ქარბორბალას დროს ქცევის წესები.

1. ქვემოთ მოცემულია წინადადებების ნაწილები არეულად. ამოარჩიე ნაწილები და შეადგინე წესები. ისინი საკმარისია 3-3 წესის შესადგენად.

## ა) შენობაში ქცევის წესები:

- არ დადგე —
- ჩააქრე ცეცხლი
- მჭიდროდ დაკეტე და გაამაგრე კარები და ფანჯრები;
- ქარიშხლის მოახლოებისთანავე,
- ფანჯარასთან,
- ღუმელში,
- გამორთე
- შიდა სათავსოების კედლებთან,
- ელექტროენერგია,
- საკუჭნაოში;
- გაზის ონკანი;
- გადადი უსაფრთხო ადგილას —
- აბაზანაში,

## ბ) ღია სივრცეში ქცევის წესები:

- მოძებნო თავშესაფარი, მაგალითად, სარდაფი;
- არ შეხვიდე
- ეცადე,
- დაზიანებულ შენობაში,
- ვინაიდან, შესაძლებელია მისი ჩამონგრევა;
- გაითვალისწინე,
- ქარის ნაკადის ზემოქმედების შედეგად.
- რომ სანამ გადამწყვეტ სტადიაში შევა,
- გრიგალი ოდნავ მშვიდდება.

მოძებნე სწორი პასუხები 35-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

# შენი მზადყოფნისთვის



სთხოვე მშობელს ან ოჯახის უფროს წევრებს და მათთან ერთად გაამზადე სამაშველო ჩანთა, რომელშიც შეინახავ იმ ნივთებს, რომლებიც საგანგებო სიტუაციის ზონიდან გამოსვლამდე დაგჭირდება.

## სამაშველო ჩანთის შემადგენლობა:

1 ლიტრი წყალი თითო დღეზე 1 ადამიანისთვის



ხანგრძლივი შენახვის ვადის მქონე საკვები (მაგ. ორცხობილა)



ხელის რადიომიმღები (კვების წყაროთი)



მანათობელი (კვების წყაროთი)



პირველადი დახმარების ჩანთა



სასტვენი



მშრალი ხელსახოცების შეკვრა



სველი ხელსახოცების შეკვრა



ადგილობრივი რუკა



კომპასი



მობილური ტელეფონი (კვების წყაროთი)



თოკი



## საევაკუაციო გეგმა

- ხანძრის, მიწისძვრის ან სხვა საგანგებო სიტუაციის დროს უნდა შეძლო შენობიდან დროულად და უსაფრთხოდ გასვლა. ამისათვის უნდა შეგეძლოს შენობაში არსებული საევაკუაციო გეგმის წაკითხვა.
- შეახსენე მშობელს, ოჯახის უფროს წევრს ან მასწავლებელს გაგაცნოს საევაკუაციო გეგმა.
- გახსოვდეს:
  მიჰყევი გეგმას და გააკეთე ყველაფერი გეგმის მიხედვით!
  გაჰყევი ევაკუაციის გეგმაზე დახატულ ხაზებს!






არ გამოიყენო ლიფტი!

## საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112

112 - არის ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა დარეკო ისეთ საგანგებო სიტუაციებში, როგორიც არის:




## როგორ დავრეკოთ 112-ზე?

112-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს როგორც შენობაში (სახლში, სკოლაში) არსებული ტელეფონიდან, ასევე მობილური ტელეფონიდან. იმ შემთხვევაშიც კი თუ ტელეფონი გათიშულია ორმხრივად ან არ დევს სიმ-ბარათი. 112-ზე დარეკვის შემდეგ ინფორმაცია გადაეცემა სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო სამედიცინო სამსახურებს და პოლიციას.

## მობილური აპლიკაცია 112 GEORGIA

შენ შეგიძლია, ასევე, ჩამოტვირთო ტელეფონზე და გამოიყენო 112-ის აპლიკაცია. ამ აპლიკაციის გამოყენების შემთხვევაში სამაშველო სამსახურს შეუძლია იპოვოს ადგილი, საიდანაც დარეკე. აპლიკაციის გამოყენება შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს. აპლიკაცია უფასოა და ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

## SMS და ვიდეო ზარის სერვისი

112-ის აპლიკაციის საშუალებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, როგორც ბავშვებს, ასევე ზრდასრულებს, შეუძლიათ გააგზავნონ შეტყობინება ან ვიდეო ზარის საშუალებით დაუკავშირდნენ 112-ს. ვიდეო ზარი და ტექსტური შეტყობინება უფასოა.

## როგორ უნდა ვითანამშრომლოთ 112-ის ოპერატორთან?

როდესაც დაურეკავ ოპერატორს (ადამიანს, რომელიც გიპასუხებთ 112-ში) უნდა უთხრა შემდეგი ინფორმაცია:

- სად მოხდა — ზუსტი ადგილი, მისამართი (ქუჩა, ქალაქი) - ამისათვის უნდა იცოდე სახლის, სკოლის, ან იმ ადგილების მისამართი, სადაც ხშირად ხარ;
- რა მოხდა — კონკრეტულად რომელი შემთხვევა მოხდა (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა), იმისათვის რომ მოვიდეს შესაბამისი გადაუდებელი სამსახური;
- შენი სახელი და გვარი;
- ასევე აუცილებლად უნდა იცოდე მშობლის ან აღმზრდელის ნომერი ზეპირად, რომ საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდე.

## უნდა ისაუბრო გარკვევით და სანამ ოპერატორი შენთან საუბარს არ დაასრულებს, არ გათიშო ტელეფონი.

გახსოვდეს:

- 112-ზე დარეკე მხოლოდ მაშინ, როდესაც გჭირდება დახმარება;
- ყველა ზარი და საუბარი იწერება;
- არ შეიძლება 112-ზე დარეკვა გართობისთვის;
- არ შეიძლება ოპერატორის შეურაცხყოფა.

# 1. შეეცადე შეავსო კროსვორდი




მოძებნე სწორი პასუხები 35-ე გვერდზე და შეადარე შენს პასუხებს.

## თარაზულად:

1. ერთ-ერთი საგანგებო სიტუაცია;
2. რა უნდა შეატყობინო 112-ის ოპერატორს შენს შესახებ?
3. რა შეიძლება ჩამოტვირთო 112-თან დასაკავშირებლად?
4. ერთ-ერთი საგანგებო სიტუაცია;
5. რა უნდა შეატყობინო 112-ის ოპერატორს შენს შესახებ?

## შვეულად:

6. ერთ-ერთი საგანგებო  სიტუაცია;
7. როგორ უნდა ელაპარაკო 112-ის ოპერატორს?
8. ერთ-ერთი საგანგებო სიტუაცია;
9. რა უნდა შეატყობინო 112-ის ოპერატორს?

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია:

- https://es.gov.ge/
- 032 2 414112
- https://www.facebook.com/EmergencyManagementService/

დამატებითი ინფორმაციისთვის გადმოიწერე საგანგებო სიტუაციების სამსახურის ანდროიდის აპლიკაცია “EMS GEORGIA”.

# სწორი პასუხები

## მიწისძვრა

**1.**



**2.**



**3.** ლიფტი, კიბე, მინა, აივანი, ჭაღი.

**4.**



**5.**

დ ე დ ა მ ი წ ა

**6.** ბ), გ), ე), ვ)

## წყალდიდობა

**3.** ბ)

**4.** თუ წყალდიდობის დროს შენობაში ხარ, ეცადე ახვიდე **ზედა** სართულზე ან შენობის შემაღლებულ **ადგილზე**. არ მიხვიდე ახლოს **კარ-ფანჯრებთან**. როდესაც **მაშველები** მოვლენ, იყავი ყურადღებით და მიჰყევი მათ მითითებებს;

**5.** არ მიხვიდე წყალთან ახლოს;

**6.** სალომე;

**7.** ბ), გ), დ);

**8.** ა);

**9.** 1-გ, 2-დ, 3-ა, 4-ე, 5-ბ, 6-ზ, 7-ვ.

## ტყის და მინდვრის ხანძრები

1



2\.

1. დავმშვიდდეთ და ღრმად ვისუნთქოთ;
2. შევატყობინოთ მშობლებს;
3. დავრეკოთ 112-ზე;
4. გავიდეთ გარეთ, უსაფრთხო მხარეს;
5. დაველოდოთ მაშველებს.



**3.** ა) კარი;
ბ) ნაპრალი;
გ) ფარდები;
დ) ცენტრში;
ე) წყალი;
ვ) მაშველებს;
ზ) დროს;

**4.** გ) და ე).

**5.** კოცონისთვის ადგილი უნდა შეირჩეს ხეებისა და ბუჩქებისაგან არანაკლებ 4 - 6 მეტრის დაშორებით, ქარისგან დაცულ ადგილზე;

ადგილი უნდა გაიწმინდოს ადვილად აალებადი მასალებისაგან (ძირნაყარი, მკვდარი საფარი, ფოთლები, წიწვები და სხვა);

ცეცხლის კერა შემოვფარგლოთ ქვებით; სასურველია კოცონის გაჩაღება ძველ ადგილზე ან ნიადაგის მინერალურ ფენამდე დამუშავებულ ზედაპირზე;

## საყოფაცხოვრებო და ურბანული ხანძრები

**1.** 1-ბ, 2-ი, 3-დ, 4-ა, 5-ე, 6-გ, 7-თ, 8-ვ, 9-ზ.

**2.**
- პირთან და ცხვირთან მიიდე სველი ნაჭერი და ისე განაგრძე სუნთქვა;
- დაწექი იატაკზე.
- იატაკზე დაწოლილი მოძრაობით ან მუხლებზე დამდგარი მიდი ფანჯარასთან ახლოს, შემდეგ ადექი, დაიყვირე ან ფანჯარაზე დააკაკუნე, რომ დაგინახონ და მოგაქციონ ყურადღება. მნიშვნელოვანია, არ გააღო ფანჯარა! დაკაკუნების დროს არ ჩატეხო მინა!

- შესაძლებლობის შემთხვევაში, ოთახიდან გადი იატაკზე დაწოლილი მოძრაობით ან მუხლებზე დამდგარი ხოხვით.
- არ წახვიდე იმ მიმართულებით, სადაც კვამლი ისე ახლოს არის, რომ ვერ ხედავ 10 ნაბიჯის მანძილზე ან მძაფრად გრძნობ ნამწვის სუნს.
- იმ ოთახიდან გამოსვლის დროს, სადაც კვამლია, კარი დახურე მაგრად, რომ ცეცხლმა ვერ შეძლოს გავრცელება (სხვა ოთახებში გადასვლა).

**3.** ა) სწორია ბ) არასწორია გ) სწორია დ) სწორია

## ქარბორბალა

ა)
- არ დადგე ფანჯარასთან, გადადი უსაფრთხო ადგილას - შიდა სათავსოების კედლებთან, აბაზანაში, საკუჭნაოში;
- ჩააქრე ცეცხლი ღუმელში, გამორთე ელექტროენერგია, დაკეტე გაზის ონკანი;
- ქარიშხლის მოახლოებისთანავე, მჭიდროდ დაკეტე და გაამაგრე კარები და ფანჯრები;

ბ)
- ეცადე, მოძებნო თავშესაფარი, მაგალითად, სარდაფი;
- არ შეხვიდე დაზიანებულ შენობაში, ვინაიდან, ქარის ნაკადის ზემოქმედების შედეგად, შესაძლებელია მისი ჩამონგრევა;
- გაითვალისწინე, რომ სანამ გადამწყვეტ სტადიაში შევა, გრიგალი ოდნავ მშვიდდება.

## შენი მზადყოფნისთვის

**1.** თარაზულად: 1. მიწისძვრა. 2. გვარი. 3. აპლიკაცია. 4. ხანძარი. 5. სახელი
შვეულად: 6. წყალდიდობა. 7. გარკვევით. 8. ქარბორბალა. 9. მისამართი

# სერტიფიკატი

სერტიფიკატი გადაეცემა

________________________________

იმისათვის, რომ მან წარმატებით შეისწავლა საგანგებო სიტუაციების დროს მზადყოფნისა და უსაფრთხოების სხვადასხვა წესი.

ევროკავშირი საქართველოსთვის

UNOPS



ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNOPS